ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N1020

ქ. თელავი 27 ოქტომბერი 2011 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის პეტრე კიკნაძის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, იმ ოთარ ბოჭორიშვილი შემდგომში „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

9 ერთეული მანიშნებელი აბრების დამზადება და დამონტაჟება. შესყიდვის საშუალება - გამარტივებული შესყიდვა. დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი. კლასიფიკატორის კოდი: 22400000.

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია განახორციელოს 9 ერთეული მანიშნებელი აბრების დამზადება და დამონტაჟება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება 2011 წლის 27 ოქტომბრიდან 2011 წლის 5 ნოემბრამდე;

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი: ქ. თელავი, ერეკლე II გამზ.N16;

4. მხარეთა უფლება - მოვალეობები

4.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია აანაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

4.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია დაუყონებლივ, წერილობითი ფორმით აცნობოს „მიმწოდებელს“ წუნის შესახებ.

4.3. მიწოდებელი სამუშაოს ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პარამეტრებს. პარამეტრების ცვლილების შემთხვევაში ფორმდება შეთანხმება.

4.4. „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

4.5. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;

4.6. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. “შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ მოქმედებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) მიღებულად ითვლება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.3. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრისას, „შემსყიდველს“ უფლება აქვს „მიმწოდებლის“ ხარჯზე განახორციელოს აღდგენასთან დაკავშირებული ოპერაციები.

5.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 400 (ოთხასი) ლარს.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. მომსახურების ღირებულების სრული გადახდა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის ან სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტი საფუძველზე.

7.2. მიწოდებული სამუშაოს სრული ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

8. ფორს-მაჟორი

8.1. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემკვეთსა და/ან შემსრულებელს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინის და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

8.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, ხოლო შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას წყვეტს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია 2011 წლის 10 ნოემბრამდე.

11. სხვა პირობები

11.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3. ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თელავის მუნიციპალიტეტი ს/კ 231280093 ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16	იმ ოთარ ბოჭორიშვილი ტელ: 851 500 696 მისამართი: ქ. თელავი, უნივერსიტეტის ქ.N4 ს/კ 20001013289 სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22 ა/ნ GE10 BG0000000895001200
გამგებელი პეტრე კოკნაძე	
„შემსყიდველი“ _____	„მიმწოდებელი“ _____